პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტის, აღგილობრივი და პროფკომის ორგანო

Ленинград Сталинская—фрая партийка, ректората, комитета ЛКСМ, профкома и местного Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

№ 14 (328)

21 აპრილი, პარასკევი, 1961 წ.

ფასი 2 კაპ.

ლენინის იდეები გზას უნათებენ კაცობრიობას

22 აპრილს საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად მთელი პროგრესული კაცობრიობა ზეიმით აღნიშნავს გენიალური მოაზროვნისა და დიდი რევოლუციონერის, კომუნისტური პარტიის შემქმნელისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ორგანიზატორის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 91 წლისთავს.

ვ. ი. ლენინი იყო მშრომელი ხალხის დიდი მასწავლებელი და მეგობარი.

ვ. ი. ლენინის სახელთანაა დაკავშირებული კომუნისტური პარტიის მთელი ისტორია, მუშათა კლასის გიგანტური ბრძოლა და გამარჯვებანი ახალი საზოგადოების შექმნისათვის.

ვ. ი. ლენინმა ახალ ეპოქაში — იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქაში განავითარა მარქსიზმი, გააფართოვა იგი ახალი უმნიშვნელოვანესი დასკვნებითა და დებულებებით, შეიმუშავა სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია და დასაბამი მისცა სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენების გზები.

ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის ხალხებმა ისტორიაში პირველმა გაკაფეს გზა სოციალიზმისაკენ, ააშენეს სოციალისტური საზოგადოება და წარმატებით ახორციელებენ გადასვლას კომუნიზმზე. ჩვენი განუხრელი წინსვლის ყოველ ახალ ეტაპზე სულ უფრო და უფრო იჩენს თავს ლენინური თეორიის ყოვლისმძლე ძალა. კომუნისტური პარტია, რომელიც შემოქმედებითად იყენებს და ავითარებს მარქსიზმ — ლენინიზმს, ამუშავებს საბჭოთა საზოგადოების შემდგომი წინსვლის კონკრეტულ გზებს.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემოქმედებითად განვითარების მკაფიო ნიმუშია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებანი, რომლებშიაც ნათლად არის გამოხატული კომუნიზმის მშენებლობის ლენინური იდეები.

ჩვენი ქვეყნის განვითარების ახალ პერიოდში — კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში საბჭოთა ხალხმა პარტიის ხელმძღვანელობით ახალი წარმატებანი მოიპოვა სკკპ XXI ყრილობის დადგენილებათა განხორციელების საქმეში.

კიდევ უფრო მძლავრი გახდა სოციალისტური ინდუსტრია. 1960 წელს სამრეწველო წარმოების მოცულობა სსრ კავშირში, 1959 წელთან შედარებით, თითქმის 10%-ით გაიზარდა.

ახალი აღმავლობის გზით წავიდა სოციალისტური სოფლის მეურნეობა. 1960 წელს მარცვლეულის მთელმა მოსავალმა შეადგინა 8131 მილიონი ფუთი, რაც 445 მილიონი ფუთით აღემატება 1959 წლის მოსავალს.

სოციალისტური ეკონომიკის საერთო აღმავლობის საფუძველზე განუწყვეტლივ იზრდება საზოგადოებრივი სიმდიდრე, მაღლდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა და კულტურა. ახალ გიგანტურ საფეხურს მიაღწია საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ. დღეს მთელი მსოფლიო აღტაცებულია საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის შესანიშნავი მიღწევებით. დედამიწის ყველა მოწინავე ადამიანი აღსავსეა ღრმა მადლიერების გრძნობით საბჭოთა ხალხისადმი, რომელმაც ბუნების ძალთა დამორჩილებაში დიდი გმირობა გამოიჩინა და მომავლის გზა ვაუკაფა კაცობრიობას.

ლენინიზმის დიადი ინტერნაციონალური მოძღვრება, რომელშიაც გამოხატულია მთელი მსოფლიოს მშრომელთა მისწრაფებები, ღრმად შეამოწმა დრომ და ცხოვრებამ.

ლენინის დროშით განხორციელდა სოციალისტური რევოლუცია სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

ლენინური იდეები არევოლუციურებს კაპიტალიზმის მიერ მილიონობით ჩაგრულ და დაბეჩავებულ ადამიანს, რაზმავს მათ კაპიტალისტური ექსპლოატაციისა და კოლონიური მონობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ლენინური იდეები გზას უნათებს აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების ჩაგრული ხალხების ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

კეთილშობილური ლენინური იდეები, დაეუფლა რა ასეულ მილიონობით მშრომელთა გონებასა და გულებს, ისტორიული პროგრესის მამოძრავებელი გახდა. ლენინიზმის სულისკვეთებით იზრდებიან მშრომელთა საქმისათვის, სოციალიზმისათვის გაბედულ მებრძოლთა ახალ-ახალი თაობანი. ლენინის უკვდავი სახელი მსოფლიოს მშრომელი ადამიანების თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლის სიმბოლო გახდა. ლენინის იდეებით სულდგმულმა და ცოცხლობს საერთაშორისო კომუნისტური და რევოლუციური მუშათა მოძრაობა.

ლენინიზმი, ლენინის უკვდავი მოძღვრება განაგრძობს თავის ტრიუმფალურ მსვლელობას დედამიწის ყველა კონტინენტზე. მთელ მსოფლიოში განუხრელად იზრდება და მტკიცდება სოციალიზმის ძალები, რომლებიც ახალ გამარჯვებებს მოიპოვებენ კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის, კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

დოც. ა. ეგბალიძე

ვლადიმერ მაიაკოვსკი

ნაწყვეტი პოემიდან — ვლადიმერ ილიას ძე ლენინი

პარტია არის
მილიონთა მხარი და ბეჭი
ურთიერთს მხრებით მიყრდნობილი,
მიჭრილი მტკიცედ,
ცისკენ აღმართავს
სასახლეებს,
არა გვაქვს ეჭვი,
ერთმანეთს ვიცავთ,
სულ მაღლა ვიწევთ.
პარტია არის
ხერხემალი მუშათა კლასის,
და ჩვენი საქმის უკვდავება
არის პარტია.
ერთადერთია,
რაც არასდროს არ მიღალატებს
და დღეს ნოქარი —
ხვალ სამეფოს
მოუშლი ქარტიდან.
კლასის ტვინი,
კლასის საქმე,
ძალა კლასის,
მისი დიდება —
აი პარტია.
ჩვენი პარტია და ლენინი —
ტყუპნი არიან, —
ისტორიაში
ვინ იქნება
უფრო ჩენილი.
ვამბობთ — ლენინი
და ვგულისხმობთ
მუდამ პარტიას,
ვამბობთ —
პარტია
და ვგულისხმობთ — ჩვენი
ლენინი.

თარგმანი მიქელ პატარაიძისა

ერთი აღგომის ფურცლები

საკავშირო ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივის ძველი დოკუმენტებს შორის სათუთად ინახავენ ძველ ალბომს, რომელს ყოველ ფურცელი გულის სიღრმემდე აღელვებს ადამიანს. ამ ალბომის შექმნის ისტორია ფრიად საგულისხმოა.

1920 წლის ზაფხული. 37 ქვეყნიდან საბჭოების ახალგახდა რესპუბლიკაში კომინტერნის II კონგრესზე ჩამოვიდა 200 დელეგატი. რათა შეეთანხმებინათ თავიანთი მოქმედება კომუნისტური პარტიების იდეური და ორგანიზაციული განმტკიცებისათვის ბრძოლაში, წარემართათ იგი ძასებში უმრავლესობის მოსაპოვებლად.

პირადმა შეხვედრამ ვ. ი. ლენინთან, რომელიც უფრესად აქტიურ მონაწილეობას იღებდა კონგრესის მუშაობაში, წარმოუდგენელი შთაბეჭდილება მოახდინა კონგრესის მონაწილეებზე. ერთიერთ სხდომაზე დელეგატებმა მიიღეს გადაწყვეტილება წერილობით გამოეთქვათ თავიანთი აზრი ვლადიმერ ილიას ძის შესახებ. ეს გადაწყვეტილება ისაც გამოიწვია, რომ 1920 წელი ვ. ი. ლენინისათვის სასებიერო იყო: მას ორმოცდაათი წელი შეესრულდა.

და, ინ, დროთა განმავლობაში ალბომის გაცვეთილებული ფურცლები ინგლისურ, ფრანგულ, იტალიურ და სხვა ენებზე დაწერილი მოკლე სტრიქონებიდან, ხანგაწერებიდან, რომლებიც დიტოგვებიათ ინდოეთის, პოლანდიის, ჩეხოსლოვაკიის, თურქეთის, ჩეკეთის, ბულგარეთის, ფინეთის, ირლანდიის, შორეული იავის წარმომადგენლებს, წარმოგვიდგება ყველა ქვეყნის მუშათა ბელადის — დიდი მოაზროვნისა და რევოლუციონერის, შრომელთა ბედნიერებისათვის ერთგული მებრძოლის სახე.

„ერთსა და იმავე დროს თეორეტიკოსი და მოქმედების ადამიანი, ლენინი ამკამად მსოფლიო მუშათა მოძრაობის ყველაზე დიდი ფიგურაა", — ჩაწერა ალბომში სიფრანგეთის კომუნისტური პარტიის ერთიერთმა დამფარსებელმა და ხელმძღვანელმა — მორსელ კაჩინმა.

ცნობილმა ამერიკელმა მწერალმა ჯონ რიდმა, ავტორმა განთქმული წიგნისა — „10 დღე, რომელმაც შეძრა მსოფლიო", — დატოვა ჩანაწერი: „ლენინი — ესოდენ უბრალო, ესოდენ პუმანური და ამავე დროს ესოდენ შორსმჭვრეტი და ურყევი, — ისტორიის ლოკომოტივია" (საქდესი).

ალაზა ხაიაური

მისი სახელი

მისი სახელი — ხალხთა ძმობის ფუძე და დროშა
თავის სიცოცხლის უკვდავებად ხალხმა იწამა,
აპრილში. შუა გაზაფხულზე ლენინის მოსვლით.
გაიზაფხულა საუკუნოდ დედამიწამა;
ლენინმა უფრო გაამრწყინა მაღალი მზეც კი,
დამშრო ცრემლი, დამდგარი ტბებად,
ცხრაასჩვიდმეტის ოქტომბერში დაანთო ცეცხლი,
რომლითაც მთელი სამყარო თბება.
მისი სახელით ჩვენ შევძელით შორი გაფრენა,
დავაზრევინეთ ქედი მყინვარებს,
ბევრი სახელი ქამთა დენით დაიზაფრება,
ლენინის სახე სულ იბრწყინვალებს.
ადამიანმა ზესამყაროს ხელი დარია,
ლენინის სიბრძნე სათავეა ყველა სიახლის,
და გვწამს ჩვენ ყველას — ერთნი არიან:
მარადისობა, უკვდავება, ლენინი, ხალხი!

ლენინის დღეს მიეძღვნა

იერიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის დოცენტმა გ. ერემოვმა წაიკითხა ლექცია თემაზე — „ვ. ი. ლენინი — საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი". ლექციამ სტუდენტთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

პედაგოგიური პრაქტიკის ზოგიერთი საკითხისათვის

პედაგოგიური პრაქტიკა სტუდენტთა დახელოვნების, მათი ძოქმედებისა მოდელირებისათვის მომზადებისა და ცხოვრებასთან უმაღლესი სასწავლებლის კავშირის გამტკიცების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა.

პედაგოგიური პრაქტიკა დაძაბულსა და ორგანიზებულ მუშაობას მოითხოვს და შეტად დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს როგორც პრაქტიკის ხელმძღვანელებს, ისე სტუდენტ-ახალგაზრდობასაც — პასუხისმგებლობას ძოსწავლეთა, სკოლისა და თვით უმაღლესი სასწავლებლის წინაშე.

მისი მაღალ დონეზე ჩატარება მოითხოვს ათეული რიგი პირობების გათვალისწინებას, ძალიან რიგი საკითხების მოგვარებას. ყველა ამ საკითხის განხილვა საგანგებო სტატიაში შეუძლებელია. აქ ძალიან ზოგიერთ უფრო ძტკივნეულ საკითხზე ვფიქრობთ.

1. ერთ-ერთი ასეთი საკითხი სკოლაა. სკოლა, რომელშიაც პედაგოგიური პრაქტიკა ტარდება, უნდა აკმაყოფილებდეს როგორც სასწავლო, ისე ძატრიოტულ-ტექნიკურ მოთხოვნილებებსაც. ეგი უნდა იყოს დაკომპლექტებული საუკეთესო მასწავლებლებით, რომელთა გაკვეთილების ძოძალა, მათი მუშაობის მესწავლა და საერთო გამოცდილების გაზიარება გაიგავებს სტუდენტებში ინტერესს პედაგოგიური მუშაობისადმი, მათ პედაგოგიურ უნარსა და ჩვევას, აამაღლებს საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობისა და პასუხისგებლობის გრძნობას, შეიარაღებს სტუდენტებს სათანადო პედაგოგიური ცოდნით.

მაგრამ მარტო პედაგოგიური კადრი არ წყვეტს პრაქტიკის კარგად ჩატარების საკითხს. ამისათვის უდიდესი ანმაშენელობა აქვს სკოლის ძატერიალურ ბაზასაც.

სკოლაში სტუდენტს უნდა ჰქონდეს მუშაობის ნორმალური პირობები. პედაგოგიური პრაქტიკის პერიოდში სტუდენტმა ძრავალნაირი სამუშაო უნდა შეასრულოს — იქნება ეს გაკვეთილებისათვის ზმადება, კლასგარეშე თუ სკოლისგარეშე სამუშაოთა შესრულება, ძოსწავლეებთან მუშაობა, სამუშაო გეგმების შედგენა, პრაქტიკანტის რეკომენდაციის შესრულება და ა. ა. ცხადია, ამ სამუშაოთა შესასრულებლად მას უნდა ჰქონდეს გარკვეული დგეული.

მართალია, პედაგოგიური პრაქტიკისათვის შერჩეული სკოლები ძირითადად ამმაყოფილებენ როგორც სასწავლო, ისე ძატრიალურ მოთხოვნილებებსაც, მაგრამ არის ისეთი სკოლებიც, რომელთაც არაძე თუ სტუდენტთა სამუშაო ადგილი, დასასვენებელი და გაკვეთილების გასარჩევი ადგილიც კი არა აქვთ. ამის გამო პრაქტიკანტი სტუდენტები შიგნი სამუშაო დღის განმავლობაში სკოლის დერეფანში ატარებენ, ესაა მათი სამუშაო ადგილიც და ზოგჯერ გაკვეთილებიც აქ ირჩევა.

არაიშვიათად სავიზოოკეს იწვევს ერთ სკოლაში სხვადასხვა ფაკულტეტისა და სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა თვითყრაც. მაგალითად, სავიზოოკეს ინარმოზოოდა ისეთ სკოლაშიც კი, როგორიც თბილისის პირველი საშუალო სკოლა, რომელსაც საკმაოდ დიდი და კეთილმოწყობილი სამასწავლებლო აქვს (აქ სამასწავლებლო პედპრაქტიკის პერიოდში მთლიანად პრაქტიკანტებს ჰქონდათ დათმობილი). სავიზოოკეს გამოწვევი იყო სხვადასხვა დარგის სტუდენტთა ერთდროულად სკოლაში თავმოყრაც. აქ თეიერკალ-ქარაშის პრაქტიკას გადოიდეს უნივერსიტეტის ფილოლოგიის, ფიზიკის, ისტორიის, უცხო ენებისა და პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტების სტუდენტები. სხვადასხვა დარგის სტუდენტთა ერთდროულად მუშაობამ ბეგერეს როგორც სასწავლო, ისე საალმზრდელო ღონისძიებათა გატარება. ამავე დროს ყოველ გაკვეთილზე კლასში ახალ-ახალი მასწავლელები (პრაქტიკანტის) შესვლა, ცხადია, უარყოფით გავლენას იხდენს სწავლების ძთლიან პროცესზე.

ვფიქრობ, დროა ფაკულტეტებმა იზრუნონ თავიანთი საბაზო სკოლების გამოსაყოფად. ასეთი საბაზო სკოლების გამოყოფის ძნიშვნელობა ძეტად დიდია, როგორც სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის ამაღლების, ისე სკოლების სპეციალურ საგნებში თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალით ეზიუნველყოფის მხედვითაც.

სასურველია აგრეთვე, პედაგოგიური პრაქტიკა ჩატარდეს რაიონის სკოლებშიც. რაიონის სკოლების მუშაობის გაცნობა, ამ სკოლების სასწავლო-საალმზრდელო მუშაობაში სტუდენტთა მონაწილეობა ძნიშვნელოვანი იქნება არა მარტო სტუდენტებისათვის, არამედ თვით ამ რაიონის სკოლების სასწავლო და საალმზრდელო მუშაობის ამაღლებისათვის.

2. პედაგოგიური პრაქტიკის ერთი დანიშნულებაა სტუდენტთა მიერ უმაღლეს სასწავლებელში შეძენილი თეორიული ცოდნის გამოყენება პრაქტიკაში და ცალკეულ მეთოდთა, ხერხთა, დიდაქტიკურ პრინციპთა თუ წესთა ათვისება უმეტესად სწავლების პროცესში და სათანადო ჩვევის გამოძუშაკება. ცხადია, ეს ძაძინ იქნება შესაძლებელი, თუ სტუდენტი საცდელი გაკვეთილების ჩატარებისას გამოიყენებს ყველა ამ მეთოდსა და ხერხს.

ძიმდანარე წელს ფილოლოგიის ფაკულტეტის 31 სტუდენტმა პედაგოგიური ჭვრეთნი თბილისის პირველ საშუალო სკოლაში მიიღო. ქართულ ენაში მუშაობა იმგვარად იყო დაგეგმილი, რომ პირველი გაკვეთილი ყოველმა სტუდენტმა ვერონიტაკული მეთოდით ჩაატარა, მეორე — თხზომებითი, ხოლო შესამე გაკვეთილზე (სტუდენტი ქართულ ენაში სამ გაკვეთილ ატარებს) გამოყენებულ იქნა ე. წ. მოსკალენკოს მეთოდი (თუ შეიძლება მას მეთოდი ეწოდოს. ეგი უფრო გაკვეთილის ორგანიზაციული ფორმაა და არა მეთოდი). ამავე დროს მასალისა და მეთოდის მიხედვით გამოყენებულ იქნა გრამატიკის სწავლების ნერხებიც (გრამატიკული გარჩევა, შედარება-შეპირისპირების, ჩასმის, კითხვების დასმისა და სხვა ხერხები).

მიზანი ძირითადად ორგვარი იყო: 1) დაეფლეთოდა სტუდენტი სხვადასხვა მეთოდსა და ხერხის მართებულად გამოყენებას უმეტესად სწავლებისას და 2) თვითონ გაეჩინა ამა თუ იმ მეთოდისა თუ ხერხის ღირებულება-ნაკლოვანებანი, ქართული ენის ამა თუ იმ საპროგრამო საკითხის სწავლებისას მათი გამოყენების შესაძლებლობა. მიზანი მიღწეულ იქნა. ასკეთმა მუშაობამ დიდი ინტერესი გამოიწვია სტუდენტებში, ისინი არა მარტო დაეუფლნენ სხვადასხვა მეთოდთა და ხერხეთი გაკვეთილის ჩატარებას, გიერკეენ მათ არსში და მასალის მიხედვით მათი გამოყენების შესაძლებლობაში, არამედ სრულიად მართებულად განსაზღვრეს ცალკეულ მეთოდთა და ხერხთა დიდსეთ-ნაკლოვანებანი და ძალი რიგი მართებული მოსაზრებანი გამოთქვეს მათ შესახებ.

3. ცხადია, ამ სახით მუშაობისათვის და, საერთოდ, პედაგოგიური პრაქტიკის სათანადო დონეზე ჩატარებისათვის გადამწყვეტი ძნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ ხელძღვანელობს პედაგოგიურ პრაქტიკას. რამდენად იცნობს ეგი სკოლასა და სწავლების საკითხებს, რამდენად ერკვევა დიდაქტიკასა და მეთოდიკის ძირითად საკითხებში, რამდენად უყვარს ეს საქმე და სხვ. უნდა ალინიშნოს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პედაგოგიურ პრაქტიკას ძირითადად მაღალკვალიფიციური, სათანადო პედაგოგიური მომზადებისა და გამოცდილების მქონე პირები ხელძღვანელობენ, მაგრამ მაინც არის შემთხვევები, როდესაც პედაგოგიური პრაქტიკის სათავეში რომელიმე პირის განაკვეთის შესავსებადაა გამოყენებული და ინგრიშში არ ეწევა იმას, თუ რამდენად შეიძლებს ეს პირი პრაქტიკის ხელმძღვანელობას. იშვიათი როდია, რომ პედპრაქტიკის ხელმძღვანელი ვერ ეერკვევა მეთოდიკის ძირითად საკითხებში, არ იცის რა მეთოდები და ხერხები გამოიყენება ამ საგნის სწავლებაში, რომელსაც ეს ხელმძღვანელობს და სხვ. ზოგიერთი ამასაც კი ფიქრობს, რომ მეთოდები კლასების მიხედვითაა გამიზნული და ა. შ.

ცხადია, ასეთი ხელმძღვანელს გაუჭირდება სათანადო დახმარება გაუწიოს სტუდენტს თეორიული ცოდნის პრაქტიკულად ათვისების საქმეში და დაეუფლოს იგი მასწავლელის რიოლსა და სამაგალითო პროფესიას.

ზოგი დეკანატებმა და კათედრებმა იზრუნონ პედაგოგიური პრაქტიკასთვის სათანადო კადრის მოსამზადებლად. ამ თვალსაზრისით კარგ მუშაობას ეწევა ახალი ქართული ენის კათედრა (ალეკსანდრ ბაქრაძე). ეს კათედრა პედაგოგიურ პრაქტიკაზე ყოველწლიურად ამაგრებს ერთ-ერთ ლაბორანტს, რომელიც პრაქტიკის ხელმძღვანელთან ერთად მუშაობს და ლაბორანტს სათანადო წყრთნას, იძენს სათანადო გამოცდილებას. ასე მომზადდა პედაგოგიური პრაქტიკისათვის ლ. კეკენაძეი, რომელიც წელს სპეციალურად მოწვეულ იქნა ჯგუფის ხელმძღვანელად (ის ამკამად უნივერსიტეტში არ მუშაობს). მიმდინარე წელს გამოცდილების მისაღებად პრაქტიკაზე მიმავალი ეიო უფროსი ლაბორანტი ე. კოშორიძე, რომელიც იმღენად დახელოვნდა, რომ შემდგომში დამოუკიდებლად შეძლებს პედაგოგიური პრაქტიკის ჩატარებას.

ცხადია, სხვა ფორმაც შეიძლება დაიძებნის პედაგოგიური პრაქტიკისათვის კადრის მოსამზადებლად.

სასურველია, სათანადო კათედრებმა იზრუნონ პედაგოგიური პრაქტიკისათვის შესაფერისი კადრების მოსამზადებლად, მით უმეტეს იმლა, როდესაც პერსპექტივაშია პედაგოგიური პრაქტიკის ხანგრძლივობის გაზრდა ერთ სემესტრამდე.

დოც. მ. თალაკვაძე

ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტთა ერთი ჯგუფი ეცნობა პირველი კ
ნავტი-ფრრინავის — იური გაგარინის შესახებ გაზეთებში გამოქვეყნებულ
ლებს.

ფოტო ზ. რუსა

კუბელი ხალხი მუდამ დაიცავს მოპოვებულ თავისუფლებას!

★ ★ ★ ★

კუბელი ხალხის სოლიდარობის ნიშნით

განუზომლად დიდია საბჭოთა ხალხის აღფოთოება კუბაში აშშ ინტერვენციის გამო. უნივერსიტეტის მრავალთასიანი კოლექტივი თავის მტკიცე ბმას უცრთებს მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხთა მიხწრაფებას.

— ხელები ფორს კუბისაგან!

ამ ლოზუნგით ჩატარდა 18 აპრილს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა, თანამშრომელთა და სტუდენტთა მრავალრიცხოვანი მიტინგი.

მიტინგი შესავალი სიტყვით ხსნა უნივერსიტეტის პარტიუ კომიტეტის მდივანმა, დოც. გ. ნუნუკაძემ. სიტყვებით გამოვ ნენ უნივერსიტეტის პროფკომ რი, პროფ. მ. მორიანაშვილი, დ ცენტები: ს. ხუციშვილი, მ. ა სიშვილი, სტუდენტი ი. მაზარაძე.

მიტინგის მონაწილეებმა ე სულოვნად მიიღეს დადგენილ რომელშიც სასტიკად დაგმობილ ამერიკელ იმპერიალისტთა აგრ და გამოცხადებულია სოლიდარ გმირი კუბელი ხალხისადმი.

ვგმობთ ამერიკელთა აგრესიას!

(პროფ. მ. მორიანაშვილის სიტყვიდან)

კუბაში მეამბოხეთა შეკრა, აშშ სამხედრო-საპაერო ძალების მიერ კუბის ქალაქებისა და შვიდობიანი მშენებლობის სხვა ობიექტების დაბომბვა სამართლიან პროტესტს, გულისწყრომა და ალფოთოების იწვევს მსოფლიოს პროგრესულ საზოგადოებაში.

ამერიკის სამხედრო წრეების მიერ შემუშავებული აგრესიული გეგმები მშვიდობიანი, თავისუფალი კუბის წინააღმდეგ ამოიცოვეს ჩასაფუძვნადად განხორციელი. საბჭოთა ხალხი ხმას იმაღლებს ამ ვერაგული აქტის წინააღმდეგ და მოითხოვს — „ფორს ხელები კუბელი ხალხისაგან".

ჩვენ, უნიეერსიტეტ სტუდენტი ახალგაზ ბი, გგმობთ ამერ ინტერვენციას დან დებელი და თავიდ ელ კუბის მიმართ მოვითხოვთ დაუყოვ ლდ შეწყდეს ინ ვენცია კუბის მშვ ბიანი მოსახლეობის ნაადმდეგ.

ხელები შორს კუბისაგან!

სტუდენტ ი. მახარაძის სიტყვიდან)

ყოველი საბჭოთა ადამიანი აღაშფოთა ამერიკელ შეერთებული შტატებისა და კუბელი კონტრრევოლუციონერების აგრესიამ თავისუფლებისმოყვარე კუბელი ხალხის წინააღმდეგ. მიუხედავად მრავალი გაფრთხილებისა და თვით ამერიკის მთავრობის ინაგურაციის დაბერებისა, რომ იგი არ ჩაერევა კუბის შინაურ საქმეებში, სახზღვარი აგრესია მაინც მოხდა. ყოველივე ეს ნათლად გვიმტკიცებს, რომ ამერიკელი იმპერიალისტების ერთად ერთი ამოცანა „ოთხმაგი ფოლადივით" საერთაშორისო ურთიერთობა და დაამონონ მეორე საბჭოთა ფიეტიკა, რომელშიც მოისწრაფეან თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

კუბელი ხალხის ბრძოლა მოპოვებულთა თავისუფლების შენარჩუნებისათვის სამართლიანი ამბიტომ იგი მისი მარჯვენით დამთავრ

საბჭოთა ხალხი, ცალიერზმის ბანაკის ა ნენ, მთელი მ ლოის პროგრესულ ცოტრიოსა გმრს რაკელთა ამ საზ ინტერვენციას და ხნიერად ფფოთხლებს რიელ ინტერვენტებ ხელები შორს კუ გან!

ინტერვენტები კბილებს ღაიმსხვრევენ

(დოც. მ. ალეკსიშვილის სიტყვიდან)

ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიამ თავისუფალი კუბის წინააღმდეგ მთელი საბჭოთა ხალხის უდიდესი აღფოთება და გულისწყრომა გამოიწვია.

მართალია, აშშ მმართველი წრეები ცდილობენ ეს აგრესია, უეცოდველობის ნილაბი აიფარონ და მთელი პასუხისმგებლობა კუბელ კონტრრევოლუციონერებს გადააბარონ, მაგრამ ამ ზღაპარს არავინ დაიჯერებს, რადგან შეტად კარგად ჩანს ამერიკელი ბომბმშმენები კუბის თავზე და ამერიკელი იმპერიალისტების ტყვეობაში



ტელი ხელი კუბის ლ ამ ტარაღდიის ბ გმაში.

მაგრამ გამარჯვებ ბელ ხალხს დარჩება ტიკელი ამერიკელ კბილებს დაიმსხ თავისუფლების სიყ ლდ ნაგები ახალ ბის ცეხე-სიმაგრეზე

ეს კარგი ნაკადია, ამგოგენ სკოლის მუშაკეგი

დამთავრდა სკოლებში პედაგოგიური პრაქტიკა. ვალმოხდილი სტუდენტები კვლავ საყვარელ უნივერსიტეტს დაუბრუნდნენ და წარმოადგინეს პედაგოგიური პრაქტიკის ანგარიშები.

ახალი ქართული ენის კათედრამ საგანგებოდ განიხილა საკითხი ქართულ ენაში ჩატარებული პედაგოგიური პრაქტიკის შესახებ. სხდომას მოხსენდა ხელმძღვანელი მეთოდისტების ინფორმაციებიც სიტყვაში გამოვიდნენ ფრაიდოსანი სტუდენტები, რომელებმაც ილაპარაკეს საკუთარ შთაბეჭდილებებზე.

კათედრის სხდომამ მადლობა გადუხადა ქართული ენის მეთოდისტებს დოც. მ. თალაკვაძეს, პროფ. ივ. იმნაიშვილს, დოც. ზ. ჭუმბურიძეს, ი. ვეშაპიძეს და ლ. ბეჟიშვილს პედაგოგიური პრაქტიკის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის.

ეგივე საკითხი განხილულ იქნა ფაკულტეტის მაუტაბით, მოიწყო პრაქტიკის შემაჯამებელი საფაკულტეტო კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ მეთოდისტები, სტუდენტები და ამ სკოლების წარმომადგენლები, რომლებშიაც საცდელი გაკვეთილები გადასცეს ჩვენმა სტუდენტებმა.

კონფერენცია გახსნა ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა პედაგოგიური პრაქტიკის ხელმძღვანელმა დოც. პრ. კეკელიძემ.

სიტყვით გამოსულმა მეთოდისტებმა დოც. მ. თალაკვაძემ. დოც. ს. ხუციშვილმა, პროფ. ივ. იმნაიშვილმა, ი. ვეშაპიძემ, დოც. ა. ბილანიამ — ფარეოდ ილაპარაკეს ჩატარებული გაკვეთილების ხარისხიანობისა და სტუდენტთა კლასგარეშე მუშაობის შესახებ.

კონფერენციაზე დასახელებულ იქნა ბევრი სტუდენტი, რომელნიც განსაკუთრებული გულისხმიერებით მუშაობდნენ პრაქტიკის პერიოდში და კარგ შედეგებსაც აღწევდნენ, აღინიშნა აგრეთვე იმ საინტერესო ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც სკოლებში ჩატარდა პრაქტიკანტი სტუდენტების ინიციატივით.

კონფერენციაზე სიტყვით გამოსულმა სტუდენტებმა ილაპარაკეს პირველ შთაბეჭდილებებზე და პირველი გაკვეთილებით გამოწვეულ მღელვარებებზე მათ დიდი მადლობა გადაუხადეს იმ სკოლების ხელმძღვანელებს, პედაგოგებს, სადაც გადადგეს პირველი ნაბიჯები პედაგოგიური დოსტატების გზაზე.

დასასრულს, კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა სტალინის სახელობის თბილისის I საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ს. კაშია, რომელმაც ქმაყოფილებით აღნიშნა ჩვენი სტუდენტი პრაქტიკანტების ენერგიული და გულისხმიერი მუშაობა და მადლობა გადაუხადა ფილოლოგიის ფაკულტეტის ხელმძღვანელობას ასეთი, საეკეთესო ცოდნით შეიარაღებული ახალგაზრდა კადრების აღზრდისათვის.

კონფერენციამ მაღალი შეფასება მისცა სტუდენტთა პედაგოგიურ პრაქტიკას და დასახა ღონისძიებანი შემდგომში მუშაობის კიდევ უფრო მაღალხარისხოვნად წარმართვისათვის.

ახალგაზრდა XXIII სამეცნიერო კონფერენცია

კონფერენცია მოისმენს 269 მოხსენებას

ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების სამეცნიერო მუშაობის ორგანიზატორმა ალექსანდრე ალექსიძემ განაცხადა:

სტუდენტთა XXIII სამეცნიერო კონფერენცია ეძღვნება ღირსშესანიშნავ თარიღს — ქართველი ხალხის ეროვნულ დღესასწაულს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავს.

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია წარმოადგენს იმ დიდი მუშაობის დაჯამებას, რომელიც ხასწავლო წლის მანძილზე ჩაატარა უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების 50 წრემ. კონფერენციაზე გამოტანილი იქნება ის მოხსენებები, რომელთაც წრის სხდომებზე განხილვის დროს კარგი შეფასება დაიმსახურეს. მოხსენებათა მეტი წილი ეშყარება მათი ავტორების დამოუკიდებელი ექსპერიმენტული კვლევის შედეგებს, შეიცავს ორიგინალურ დასკვნებსა და დაკვირვებებს.

კონფერენციაზე იმუშავებს 14 სექცია და 2 ქვესექცია. შარშანდელთან შედარებით ახალია ფილოსოფიის სექცია, რომელიც წელს დამოუკიდებლად იმუშავებს. იხეკე როგორც შარშან, ქართული ლიტერატურის ისტორიის, კოსმიკური ფილოლოგიისა და ჟურნალისტიკის სექცია იმუშავებს შესაბამის პარალელურ ქვესექციებად.

სულ კონფერენციაზე წაკითხული იქნება 239 მოხსენება ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებისა და 30-მდე მოხსენება — ხაბჭოთა კავშირის სხვადასხვა უნივერსიტეტების (მოსკოვის, ლენინგრადის, რიგის, ერევნის, კიევისა და სხვ.) სტუდენტებისა.

მოხსენებათა თეზისები ცალკე კრებულად დაიბეჭდა (რედაქტორი პროფ. ი. ინწკირველი).

იმედი გვაქვს, რომ XXIII სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც უნივერსიტეტის სტუდენტებმა მიუძღვნეს დიდმნიშვნელოვან ისტორიულ თარიღს, გამოავლენს ჩვენი სტუდენტების სამეცნიერო მუშაობის შემდგომ სრულყოფას.

ჩვენი სტუდენტები მოძმე რესპუბლიკების უნივერსიტეტებში

უნივერსიტეტის სტუდენტთა საკავშირო საზოგადოებას ბტკაც კავშირი აქვს დამყარებული ჩვენი ქვეყნის ბრალ ეულ უმაღლეს სასწავლებლებთან. ჩვენ ზოგჯერ წერილობით, ზოგჯერაც სხვა საშუალებით სისტემატურად ეგზავნებთ მათ ჩვენი საშეცნიერო საზოგადოების მუშაობის გამოცდილებას, ვიტყობინებთ თუ რა ღონისძიებები ტარდება ჩვენს საზოგადოებაში. თავის მხრივ ინაალი ასეთი ხასიათის წერილებს ვღებულობთ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებიდანაც. მაგრამ ურთიერთ დაახლოების ყველაზე საყოფიერი ფორმა მაინც ოვით სტუდენტთა შეხვედრებია. ასეთ შეხვედრებს კი ადგილი აქვს სტუდენტთა სამეცნიერო მიგლინებების დროს სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებზე.

ყოველწლიურად ჩვენი უნივერსიტეტიდან მოკავშირე რეპუბლიკების უმაღლეს სასწავლებლებში იგზავნება დაახლოებით 25 სტუდენტი. განსაკუთრებით შედეგიანია ამ მხრივ 1960—1961 სასწავლო წელი. ჯერ კიდევ ოქტომბრისა და ნოემბრის თვეებში ბაკოსა და ერევანში მიგლინებული იყო ჩვენი ოთხი სტუდენტი: ალხაზიძე, (ფილოლოგიის ფაკ.) და ნასაძე (ისტორიის ფაკ.)— ბაკოში, ბოლო რატანაძე (ისტორიის ფაკ.) და ბერეძე (ქიმიის ფაკ.)— ერევანში. მათ მიერ წაკითხული მოხსენებებმა ძალიან შეფასება დაიმსახურეს. ეს მოხსენებები დაიბეჭდება კიდევ ამ უნივერსიტეტების სტუდენტთა სამეცნიერო ჟურნალების კრებულებში. საყურადღებო იყო აგრეთვე ჩვენი სტუდენტების გაგზავრება მოსკოვში სტუდენტი ალმოსავლეთმცოდნეობის I საკავშირო სამეცნიერო კონფერენციაზე. ამ კონფერენციის ოთხივე თემა ლისელმა მონაწილემ — ასოკელავამ, ჯაველიძემ (ალმოსავლეთმცოდ ნ ე ი ბის ფაკ.), ჩანტლაძემ და ნინეაძ (ფილოლოგიის ფაკ.) ქების სიტყვებში და ჟილოდნი დაიმსახურეს საუკეთესო მოხსენებებისათვის.

თებერვლის თვეში გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ოცი სტუდენტმა მოხალისეობა ბიოდო ქუთაისის ბუდაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაში. მარტის თვე რიტეგებში ლვოვში შედგა სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი დიდი უკრაინელი პოეტის ტ. შევჩენკოს გარდაცვალებიდან 100 წლისთავისადმი. ამ კონფერენციაზე მონაწილეობდა ფილოლოგიის ფაკულტეტის III კ. სტუდენტი ვ. როდოსია.

მარტის ბოლო რიცხვებში მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტმა სამეცნიერო კონფერენციაზე ჩაატარა, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები — ლ. ჯიკურიანელი და მ. გიგინეიშვილი.

ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები ჯ. გოგინაშვილი და თ. ლეკვეა მიელინებული ახალ ეიელინეთის უნივერსიტეტში. მარტის ბოლო რიცხვებში გეოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობდა ჩვენი უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის IV კ. სტუდენტი მ. სანელაშვილი, ამეთვე მიელინებიანთ გიგაზანა ლენინგრადში, რიგაში, ანხაბაზეთ და სხვა ქალაქებში თბილისის უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის, იურიდიული, ეკონომიური და ფილოლოგიური ფაკულტეტების სტუდენტები.

რ. ბერიდზიანი,
თსუ სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების სახლის თავმჯდომარის მოადგილე.

კონფერენციის დღეებში

XXIII სამეცნიერო კონფერენცია მნიშვნელოვანი ფაქტია ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტთა ცხოვრებაში. იგი იმითაც არის განსაკუთრებული, რომ ეძღვნება ჩვენი სახელოვანი რესპუბლიკის 40 წლისთავს.

კონფერენციისათვის სერიოზულ მზადებას ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ლიტერატურისა და ფოლკლორის სტუდენტთა სამეცნიერო წრე ადრე შეუდგა. წრეში წაკითხული მოხსენებებიდან საუკეთესონი შერჩეულ იქნა კონფერენციაზე წასაკითხად. წლის განმავლობაში წრეში ნაყოფიერი მუშაობით გამოირჩეოდნენ სტუდენტები: ე. ხეფერელი, ვ. გოგუაძე, გ. ბარაძე, თ. ონანანი, მ. ხინთიბიძე და სხვ. მათ საინტერესო კვლევითი ხასიათის შრომები დასწერეს. ეს შრომები რეკომენდებულ იქნა კონფერენციაზე გასატანად.

ქართული ლიტერატურისა და ფოლკლორის სტუდენტთა სამეცნიერო წრეს მიმდინარე სასწავლო წელს საინტერესო მუშაობა ჩაატარა. სისტემატიურად ეწყობოდა წრის სხდომები, რომლებზეც ისმენდნენ სტუდენტთა მოხსენებებს. წრის თანამონაწილეებმა ლეკციებიც თვეში გაიმართა სტუდენტთა საფაკულტეტო სამეცნიერო სესია, რომელიც ალაკი წარეფილს დამდგებიდან 120 წლისთავს მიეძღვნა.

წრეს ხელმძღვანელობას უწევენ გამოცდილი პროფესორები, დოცენტები და მასწავლებლები: ჯ. სიხარულიძე, ტ. რეხაძე, გ. კიკვიძე, ვ. ცისკარიძე.

აღსანიშნავი ის გარემოებაც, რომ წრის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ჩვენი ასპირანტები. ისინი წრის სხდომებზე უმეტესს მეგობრებს ბევრ სასარგებლო რჩევა-დარიგებას აძლევენ. ნაყოფიერმა მუშაობამ კარგი შედეგი გამოიღო, ქართული ლიტერატურისა და ფოლკლორის სტუდენტთა სამეცნიერო წრე კარგი ანგარიშით წარდგა სტუდენტთა XXIII სამეცნიერო კონფერენციაზე.

ვ. მინაშვილი,
ქართული ლიტერატურისა და ფოლკლორის სტუდენტთა სამეცნიერო წრის თავმჯდომარე.

10 მოხსენებით წარვდგებით

უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე ჩვენ, ფილოლოგიის ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის განყოფილების სტუდენტებს 10 მოხსენება გვგაქვს.

თვითეული მათგანი იქნე წაკითხული ჩვენი სამეცნიერო წრის სხდომებზე. აქ მოვნიენა რომ დამისახელოს, სწორედ ამიტომ გადავწყვეტეთ მათი გაგება სამეცნიერო კონფერენციაზე.

მოხსენებები ეხება როგორც ლიტერატურას, ისე ენის საკითხებს. მთელი განსაკუთრებულ ყურადღებას იყრიან ჰელენისტიკა საკითხების გაშუქება იბერიულ-კავკასიური პოზიციების თვალსაზრისით. ამ მხრივ აღსანიშნავია V კურსის სტუდენტის გ. ნინოს მოხსენება — „პირველი ლიტერატურული ცნობა ძველ კოლხეთში არსებული დამწერლობის შესახებ", IV კურსის სტუდენტის, ლ. მელოდაშვილის მოხსენება „ჯ პროფეიქსი უცნობი ეტიმოლოგიის ბერძნულ სიტყვებში" (ფრანგი მეცნიერის Carnoy-ს ინტერპრეტაციით), III კურსის სტუდენტის რ. გორგაზანის მოხსენება — „ფეკაკის ტვალანა და მათი ზნეკეთილებანი", IV კურსის სტუდენტის ლ. ასლამაზიშვილის მოხსენება — „აქილევსის საღაღურობისათვის". (ოთხივე თემის ხელმძღვანელია პროფ. ჰ. ბერაძე).

სტუდენტთა ემრავლესობა გატაცებულია ქართულ-ბერძნული ურთიერთობის წყაროების კვლევით. ამ საკითხს მიუძღვნეს თავიანთი მოხსენებები: III კურსის სტუდენტმა ი. ცქიტაშვილმა — „სტრაბონის ცნობები საქართველოს შესახებ" (ხელმძღვანელი პროფ. ჰ. ბერაძე), II კურსის სტუდენტმა ნ. კვეღლავამ — „ფაკის მეფეა" (ხელმძღ. პროფ. ჰ. ბერაძე), III კურსის სტუდენტმა ჯ. აფციაურმა — „ირგოხაკეტების მითის ზოგიერთი საკითხისათვის" (ხელმძღ. დოც. ა.ა. ფურუმაძე), III კურსის სტუდენტმა ნ. ხანიაშვილმა—„ანტიკურობა „ალმასოსაში" (ხელმძღ. დოც. ა.ა. ფურუმაძე), II კურსის სტუდენტმა ლ. კუბეკაძემ — „ამბრონანასთან" დაკავშირებული ზოგიერთი საკითხისათვის" (ხელმძღვანელი პროფ. ჰ. ბერაძე) და ეე — „პლატენ და ერინოთვეი" (ხელმძღვ. პროფ. ბერაძე).

ციცინო გიგაური,
ფილოლოგიის ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის სტუდენტთა სამეცნიერო წრის თავმჯდომარე.

დამავალეს გადმოგცეთ საუკეთესო სურვილები

ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა შორის ყოველწლიურად იჩრდება და მტკიცდება მეგობრო ურთიერთობა, ეს სობიან ერომანეთის საქმიანობას, მუშაობის გამოცდილებას.

კარგ ტრადიციად იქცა ის, რომ ცალკეულ უმაღლეს სასწავლებლებთა სამეცნიერო კონფერენციებზე მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ქალაქის უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტები. ყოველივე ეს სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის კიდევ უფრო საინტერესოს ხდის.

ასე მოხდა ამეამადაც, როდესაც ა. ჟდანოვის სახელობის ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიურმა ფაკულტეტმა მიგვიწვია, რათა მონაწილეობა მიგვეღო ამ გამართულ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაში, რომელიც მიეძღვნა ჩვენი ცხოვრების აქტიურ თემის: „საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა განვითარება გაწლილი მშენებლობის პერიოდში".

ჩვენი ფაკულტეტიდან აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად გამოგვეყვნენ მე და III კურსის სტუდენტი ვ. გურგენიძე. ჩვენი თემები ძირითადად გამოხატავდნენ რეპუბლიკაში გაწლილი მშენებლობის პერიოდში საწარმოო ძალთა აღმავლობის შედეგად მიღებულ მიღწევებს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. მოხსენებათა სათანადოდ დამუშავებაში განსაკუთრებული დახმარება გაგვიწია პროფ. ნ. იაშვილმა და დოც. ვ. მელქაძემ.

გამგზავრების წინა დღეს წასაკითხ მოხსენებათა გარშემო გვესაუბრნენ ჩვენი უნივერსიტეტის რექტორი, აკად. ე. ხარაძე და პროორექტორი, პროფ. ს. ყიფერი, მოგვცეს სათანადო რჩევა-დარიგება.

მართალი გითხრათ, ეფელავდით, ჩვენ სამეცნიერო მოხსენებით უნდა გამოვსულიყავით იმ უნივერსიტეტში, სადაც ერთ დროს სწავლობდნენ ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწენი — ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე და სხვები. ეს განსაკუთრებით ზრდიდა ჩვენს პასუხისმგებლობას.

ლენინგრადელმა მეგობრებმა კარგად მიგვიღეს, გვეცნობი მათ საქმიანობას. ისინი სწავლასთან ერთად წარმატებით ეუფლებიან სპორტს, ეწევიან სამეცნიერო და საზოგადოებრივ მუშაობას. ეკონომიურ ფაკულტეტზე ძირითადად არსებობს სტუდენტთა ორი სამეცნიერო წრე — პოლიტეკონომიისა და დარგობრივი ეკონომიკისა. არსებობს აგრეთვე ცალკეული წრეები, რომლებიც შეიისწავლიან საკონლის ღირებულების, ფასწარმოქმნის საკითხებს. ჩვენც გავუზიარეთ ლენინგრადელებს, თუ როგორაა დაყენებული სტუდენტთა სამეცნიერო წრეების მუშაობა ჩვენთან. მიეწონათ, რომ ჩვენთან წრის სხდომის წინ ვბეჭდავთ თეზისებს და ვურიგებთ წრის წევრებს, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა მომზადებულად გამოცხადებას სამეცნიერო წრის სხდომაზე. ბევრი რამ ვისწავლეთ მათგანაც.

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია ლენინგრადში გაგრძელდა სამ დღეს. ლენინგრადელებთან ერთად მოხსენებით გამოვიდნენ სტუდენტები მოსკოვის, კიევის, მინსკის, რიგისა და სხვა ქალაქების უმაღლესი სასწავლებლებიდან. კონფერენციამ წარმატებით ჩაიარა. ამას მოწმობს მოსმენილი მოხსენებათა ირგვლივ გამართული კამათი.

უკანასკნელ სხდომაზე ფაკულტეტის დეკანმა დოც. ვ. ვოროტილოვმა შეაჯამა რა კონფერენციის მუშაობა მადლობა გადაუხადა მის ყველა მონაწილეებს საინტერესო ნაშრომების წარდგენისათვის, საპატიო სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადმოგვცა ჩვენი უნივერსიტეტის ამ თავი მოიყარეს როგორც ადგილობრივმა, ისე ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებიდან ჩამოსულმა სტუდენტებმა. სადამზე იყვნენ აგრეთვე უცხოელი ახალგაზრდები, რომლებიც ლენინგრადის უნივერსიტეტში სწავლობენ. ევროპული ცეკვები დაიწყო. რამდენიმე ახალგაზრდა ძლიერ დაინტერესდა ჩვენი ეროვნული, როდესაც გაიგეს, რომ ჩვენ ვიყავით თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტები და ვმონაწილეობდით საშეცნიერო კონფერენციაში, მოგვილოცეს წარმატებანი. პასუხს არც კი დაველოდნენ, რომ ჩვენს საპატივცემულოდ საიდანღაც გააჩინეს ქართული ცეკვის გრამფირფიტა და, ასე, ევროპული ცეკვის მუსიკა შეცვალა ქართულმა მელოდიამ. ჩვენი უნივერსიტეტის ერთ-ერთმა სტუდენტმა დაამავარა რა ცეკვა, მართალი გითხრათ, მაყურებელთა, განსაკუთრებით კი უცხოელ სტუდენტთა აღფოთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ვუთხარით, რომ ჩვენთან საქართველოში უმეტესობა ასე ტემპერამენტულად ცეკვავსო, გაუკვირდათ.

დადგა ლენინგრადიდან გამომგზავრების დღეც. სადგურზე გამოგვაცილეს ახლად შექმნილმა მეგობრებმა და დამავალეს გადმომეცა თქვენთვის, ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებო, საუკეთესო სურვილები შრომისა და მეცნიერების დაუფლებაში.

სამეცნიერო კონფერენციაზე, მეგობრულ საუბარზე, ეგრეთ ქალაქის ისტორიული ძეგლების გაცნობის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებანი წარუშლელად დამამახსოვრდება.

ბ. ბამსაშურიძე,
ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე.

უკანასკნელი რევანში

მსოფლიოს ექსჩემპიონს ამჯერად უკანასკნელად ეძლევა საშუალება მატ-რევანშში დაიბრუნოს დაკარგული წოდება. შემდეგში კი, როგორც საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციამ გადაწყვიტა, მსოფლიოს ჩემპიონმა მატჩის წაგების შემთხვევაში ბრძოლა უნდა განაგრძოს პრეტენდენტთა ტურნირში სხვა მონაწილეებთან თანასწორ პირობებში.

ალბებს თუ არა მიხეილ ბოტვინნი თავის უკანასკნელ რევანშს? ეს კითხვა, როგორც არასოდეს, აღელვებს ჭადრაკის მოყვარულთ. მაგრამ, ეუცნაური ტრადიციის მიხედვით, დიდ ოსტატები ჩუეულებრივ თავს არიდებენ პირდაპირი პასუხის გაცემას. არ ვიცი, რატომ ითვლება არატექტიკურად, თუ მატჩის დამთავრებამდე გამოთქვამ შენს შეხედულებას მის შედეგებზე. ეუსპერტები თვლიან, რომ ყველანაირ შემთხვევაში ამბის გაკეთება ფფრო ხელსაყრელია მატჩის დამთავრების შემდეგ.

ეს ტრადიცია დაარღვია ვ. პანოვმა, რომელმაც მისთვის ჩვეული მახვილგონიერით მანერით „ეფრანსაწარმეტყველა" მიხეილ ტალის გამარჯვება... ამ ამბასთან, ის მარტო როდი რჩება თავის მოსაზრებაში. ბევრ ავტორიტეტს ეიმეფილ მიაჩნია ბოტვინიკის ცდა — აიღოს რევანში.

— უპირველეს ყოვლისა, ამბობენ ისინი, ასაკობრივი განსხვავება 25 წელია... სპორტის რომელ სახეშია შესაძლებელი ასეთ პირობებში შეჯიბრება? მეორეც, განა ტალის უპირატესობა წინა მატჩში მისივე დიდი ანგარიშით გამარჯვებამ არ დაადასტურა? და ბოლოს, უმატებენ ისინი, უკანასკნელი ხანების თითქმის ყველა საჭადრაკო შეჯიბრებაში მტკიცდება ძალა არა მარტო ტალისა, არამედ იმ სტილისაც, რომელის მთავარი წარმომადგენელიც თვითონ ტალია და რომელიც დაფუძნებულია კლასიკური პრინციპების გადფასებაზე. ანდა თუნდაც მთლსრულ უარყოფაზე, მწვავე, არაჩვეულებრივად დახლართულ სიტუაციებზე.

მე შეგნებულად გავამეტე და ერთად წარმოვადგინე ტალის მომბრეთა მიერ წამოყენებული არგუმენტები და მანც, მე მთ ვერ დავეთანხმები. მე მიმაჩნია, რომ ჩვენს „მოხუც" ბოტვინკს საკმაო ძალა გააჩნია, რათა დაიბრუნოს მსოფლიო ჩემპიონის წოდება.

ასაკობრივი განსხვავება... მართლაც. ზოგჯ მოუდარაკე, როცა 40 წლის ასაკს ეახლოვდება, სპორტულ ალრაზის განიცდის. განსაკუთრებით იმათ ეხებათ ეს, რომლებმაც ძალიან უჭვად გაბარეს თავიანთი შემოქმედებითი რესურსები, თამაშობდნენ რა ყოველწლიურად რამდენსამე ძნელსა და ხანგრძლივ შეჯიბრებაში.

ზოგიერთი მოუდარაკე საჭადრაკო ძალას შესამჩნევი დაკეცა ეტყობა ალრატიკული ასაკის მიღწევისას, რამდენადაც წლების მატებასთან ერთად ისინი კარგავენ რეაქციის სისწრაფეს და ალარ შეუძლიათ მათთვის დამახასიათებელი სისწრაფით გათვალონ მრავალსვლიანი კომბინაციები. მაგრამ ყველა მოუდარაკე ასეთი როდია. გავიხსენოთ ემანუელ ლასკერი. ოსტრავა-მორავსკში 50 წლის ასაკში მან ცხვირპირი დაუმტვრია მთელ მაშინდელ დიდოსტატ ახალგაზრდობას. ნიუიორკში 1924 წელს იგი 55 წლის იყო და პირველი ადგილი დაიკავა, გაუსწორო რა კაპაბლანკას, ალიოხინს, მარშალს, რეტისა და ბოგოლიუბოვს.

ხოლო გრიგორ იაკობის ძე ლევენფიშმა, რომელმაც თავისი საუკეთესო კარიერა ჭადრაკის ასაკში დაიწყო, დაახლოებით 50 წლისამ მიაღწია დიდ შედეგს: დაიკავა პირველი ადგილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში, ხოლო 20 წლისთან უფრო ახალგაზრდა ბოტვინიკთან გამართულ მატჩში დიდოსტატის წოდება მოიპოვა. მაშასადამე, ასაკი ყველა მოუდარაკისათვის როდი თამაშობს გადამწყვეტ როლს.

ხოლო თუ ანალოგიებზე ვილაპარაკებთ, ეუმბენსი ვეძიოთ ისინი არა სპორტში, არამედ ხელოვნებაში, სადაც სავსებით შესაძლებელია შეჯიბრება დიდი ასაკობრივი განსხვავების პირობებშიც. დავით ოისტრახი — ვირტუოზი — ჯერ არაფრით არაა ნაკლები თავის შვილზე, ხოლო სვიატოსლავ რიხტერი, მიუხედავად წლების განსხვავებისა, სჯობნის ჩვენი დროის ბევრ სხვა პიანისტს. ანდა იური ფაიერი და არიან ხარაბურიანი... ისინი ჯერ ბოტვინიკზე უფროსები არიან.

გამარჯვება მიხეილ ტალისა მსოფლიო პირველობაზე გამართულ

⊙

დავით ბარონაშვილი

საერთაშორისო დიდოსტატი

⊙

შარშანდელ მატჩში — უეჭველად ერთი ყველაზე ნათელი მოვლენათაგანია ჭადრაკის ისტორიაში, გამოვლენებია ახალგაზრდა დიდოსტატის უდიდესი სპორტული ფიზიკებისა, მისი ბრწყინვალე მრაკალჩრეი ტალანტისა და მე მაინც კვლ გვთავისუფლებელვარ იმ აზრისგან, რომ ბოტვინიკმა იმ მატჩში ვერ გამოავლინა სრულად ძალი თავისი ძალა. ეს არის არა მარტო ინტუიციური შთაბეჭდილება, არამედ მეოგი პირველი მატჩის პარტიების ანალიზისა. აქ ადგილი არაა დაწვრილებით ვილაპარაკოთ ამაზე. ვთხოვ მკითხველს, მეფრეფნის, რომ გასულ წელს ახალი სტილის უპირატესობა არ ყოფილა სრულად დამტკიცებული. იგივე შეიძლება ითქვას საბჭოთა კავშირის უკანასკნელი ჩემპიონატის შესახებაც, რომელშიც გამარჯვებული ტიგრან პეტროსიანი,— ჩემი აზრით, უეჭველ მონაწილე მსოფლიო პირველობის ოოგიი უფლოესი მატჩისა, — არ ეკუთვნის ახალ სტილს.

რა არის მაინც ეს „ახალი სტილი?

ნამდვილად, ჩვენს საჭადრაკო თაობას წელად ხდა ყოველთვის მოწმე ჭარბაკში თავისებური მიმართულების დაბადებისა და, შეიძლება ითქვას, ადდგენაადორძინებისა, მიმართულებისა, რომლისთვისაც ადვილი როდია ზუსტი სახელის გამოსახვა. მაინც ყველაზე შესაფერისი, ეფუქრობ, უნდა იყოს „**ინტერესიური სტილი**".

ამ სტილის წარმომადგენელს, განსაკუთრებით, თუ იგი დიდოსტატია, რა თქმა უნდა, გააჩნია სპორტული წარმატებებისათვის საჭირო ყველა ელემენტი: ცოდნა, ტექნიკა, ლოგიკური აზროვნება, გამბიტებსადმი სწრაფვა, მაგრამ ძირითადი საყრდენი მისი საჭადრაკო ძალისა ესაა ბუნებრივი ნიჭი — თავისი განმტკიცებებით რთული და შორეული ვარიანტების სწრაფად გათვლისა. ეს უძვირფასესი ყოლდო საშუალებას აძლევს მის მფლობელს ადრეულ ასაკშივე მიაღწიოს დიდ ჭრეტკიულ ძალიერებას.

ჩვენი დროის თითქმის ყველა დიდი მოჭადრაკე პირველად სწორი გაგრძელების ინტუიციური შერეკვის (ანუ გეოოელის) სწორედ ამ ეანარის წყალობით დაწინაურდა, და მხოლოდ შემდეგშრნი ისინი ამოოვლენენ ეოოლის, გამოცდილებას, საჭადრაკო სტრატეგიის კანონების გაგებას, იძენდნენ რა თავიანთ ინდივიდუალურ ხასიათს, რაც აუცილებელია მოჭადრაკის შემოქმედებითი სახის ჩამოყალიბებისათვის.

მაგრამ არცერთი მათგანი, თუნდაც თავიი უადრესი გაფურჩქვნის პერიოდში, არ ფლობდა სწრაფი გათვლის ნიჭსა და ინტუიციის ეეზომ დიდად, როგორც მსოფლიო ჩემპიონი მიხეილ ტალი.

რითია განსხვავდება „ინტუიციური" მოჭადრაკისგან პრაქტიკულ თამაშში? იგი ყველაფრის ფასად ისწრაფვის ჩართოოოს მოწინააღმდეგე ისეთ სიტუაციაში, სადაც მატერიალური და პოზიციური წონასწორობა დარღვეულია რამდენსამე ეეზოზე, სადაც გამეჩრილია პოზიციის ოსეკეტური შეფასებისათვის საჭირო სახელმძღვანელო ნიშნები და შეუძლებელია საბჭოთა ლოლიკის ძალთა სამიზნე წერტილებისა და ბერკეტების პოვნა.

და თუ ისეთი ტიპის პოზიციას ეეუჭვნებთ ვ. კორჩნოის ან ინტუიციური მიმართულების ლიდერს ს. ტალს და შეეკვეთხებით: „როგორია თქვენი შეხედულება ამ პოზიციაზე?" რა ფერით ისურვებდით თამაშს?" — პასუხის აზრი დაახლოებით ასეთი იქნება:

— სარგამი პოზიციაა, იგი მე მომწონს და მზადა ვარ ვითამაშო. რაც შეეხება ფერს, — იგი სულერთია ჩემთვის.

ახლა ვაჭვნოთ ეს პოზიცია ი. ავერბახს ან ტ. პეტროსიანს, ან კიდევ ჭადრაკში „ტრატეგიული მამრთულების ლიდერს ბ. ბოტვინიკს.

— ბუნდოვანი პოზიციაა, არ გესურვებდი მის თამაშს არც თეორეტიკით და არც შავებით, — ასეთი იქნება პასუხი.

ამიტომ ორი სხვადასხვა სტილის მოჭადრაკის ბრძოლაში ერთი თავის მიზნად ისახავს „შეტევეთს" მოწინააღმდეგე გართულებათა მორევში, ხოლო მეორე ისწრაფვის „ვიტეტოს" მოწინააღმდეგე ლოლიკური სტრატეგიის მტკიცე ნიადაგისაკენ.

თუ ამ მთავარ მიზანს მიაღწევს რომელიმე მათგანი, ამით პარტიის ბედი თითქმის გადაწყვეტილი იქნება. ამის მაგალითად გამოდგება პირველი პარტია შარშანდელი მატჩისა და პირველივე პარტია წლევანდელი მატჩისა. ამ პარტიების ანალიზს რიგი აქვეთან, თქვენ ეწმენდებით, რომ გასულ წელს ბოტვინიკმა დიაზეა რამდენიმე შეეფრნეველი უზუსტობა ისეთ მდგომარეობაში, სადაც სასერო იყო ზუსტი გათვლით ერთადერთი ხელეზის პოვნა, ხოლო ანალოგიურ მატჩში ასეთივე ბედი ეწია მიხეილ ტალს პოზიციურ სტარატეგიულ თამაშში.

ტალის ან კორჩნოის სტილს ზშირად უწოდებენ **კომბინაციურს.** ნეოოუ ქვეყანაზე მოთმოვეგა თუნდაც ერთი ოოჭადრაკე, რომელიც ყველაზე მეტად კომბინაციის ოოთხოვნილებას არ აფასებდეს? მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ საჭადრაკო კომბინაცია შეიძლება შეექმნას ეროორიგინალურ, მსგავსად ძმისა, როგორც ოოხმაში ხელის ერთი მორახლობი პირველაპარ „ჰაერისაკენ" გაიჩენს" მიკიდებულ პპპრარსს. კომბინაცია ეს არის ყველაზე, რომელიც იმალება მოჭადრაკის ფანტაზიით, მაგრამ იქნება არა ამხლოდ ფანტაზიერი, ოოამდენ კიდეე ზრდმითი და ჯიგური.

ეეეპრარტი კომბინაცია არ მიიღება, თუ უბრალოდ ეიტვალი ოეეიტვალ ქვაბში ჩაყრილ პაკეას, სუფ ეეერეს, ფიგურეს და ამჯერად ეეამბდეველ ეერქს. გავაცხელებთ ცოტნენ ალეზ.

ეე ეარეთხელ" მოიკეთეს, რომ ტალს ეეიეძლია აეზრმოოს ბრძოლა ეკლასიკურ პოზიციურ სტილშიც. მან ბრწყინვალედ დაამტკიცა ეს ბრაზანდელი მატჩის ზოგიერთი პარტიაში და წლევანდელი მატჩის მეოეე პარტიაში, რომელიც ბოტვინიკისეზრად ჩაეტარა.

მაგრამ ტალი უპირატესობას ანიჭებს ისეთ მანერას, რომელიც, მისი აზრით, მოითხოვს ძალების მინიმალურ დაბაბვას. დეპოიტს, ამბობს ეეი, საერთოდ. არა აქვს დიდი ძნიშვნელობა. მთავარია შეინარჩუნო დასეეერებული თავი იმ მომენტისათვის, როცა პარტია გადადის გადამწყვეტ მომენტში. მაგრამ, ამას გარდა, ოდეემატებთ ჩვენ, მთავარია, რომ ამ მომენტისათვის ეუკვ გამოეეეალ „ეეგიმარეოეზეში" არ აღმოჩნდე...

და ეი ბრძოლის მსვლელობამ ამ მატჩში გეეჩვენა, რომ ბოტვინიკმა არიერთხელ შეძლო ჩიეკო ნაეერწყლები მოენაალმდეგის კაშკაშა კომბინაციისა ეფერო ადრე, ეიდე ტალი მოასწრებდა კიეერის ანთებას. კიდეე მეტი, მეშეოდე პარტიაში მოტვინიკი თეითონ დაადგა კომბინაციურ გზას, რომელიც მომზადებული იყო მისი ბრწყინვალე სტრატეგიეთ თამაშით ყურ ფეზიეტეზი, შემდეგ კი ზეა თამაშში გადასელისას.

ძალა და სისუტე. ბოტვინიკსა ანაშია, რომ ის მიდის მხოლოდ ისეთ კომბინაციებზე, რომლებიც ლოგიკურად გამომდინარეობენ პოზიციიდან და რომელთა გათვლაც მას შეეძლია თავიდან ბოლოამდე.

სისუტე და ძალა ტალისა იმაშია, რომ ის მიისწრაფვის გართულებათა მორეკისაკენ მაშინაც კი, როცა მას ჩანფიქრმრიაც კი არ შეუძლია მიეყანოს იგი ნათელ შედეგამდე.

ამგვარად, ბოტვინიკი იბრძვის არა მარტო ჩემპიონის წოდებისათვის, არამედ კლასიკური ჭაჭადრაკი სტილისათვის, რომლის ყველაზე ნათელი წარმომადგენელი იგი თვითონ იყო ათეული წლების ანმალზე. და რამდენადაც ეს სტილი თავისი მინაარსით, როგორც მე მიმაჩნია, ინტუიციურზე მაღლა დგას, ამდენად ბოტვინიკმა გამარჯვება უნდა მოიპოვოს.

გაზაფხულდა. დედაქალაქი მაღლ მწვანეში ეხვევა. გაზეთებული მუშაობა მომდინარეობს მისი ქუჩების გამწვანებისა და გალამაზებისათვის.

სტუდენტებმა მცხოვრებმა სტუდენტებმაც გადწყვიტეს გალამაზონ თავიანთი ქალაქი: დარგან მის ტერიტორიაზე მცენარეები, მოაყენონ გაზონები, გაამწვანონ.

ჩანფიქრის სირბილეში მოსაყვანად მათ ბარსა და თოხს მოეკიდეს ხელი. ამ საქმეში თავი გამოიჩინეს მეორე, მეოთხე, მეხუთე კორპუსელებმა. მათ კარგად დაამუშავეს კორპუსების შორის ტერიტორია, დარგეს ბუჩქები და სხვა.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ მეორე კორპუსში მცხოვრებ მოიმეტიკის ფაკულტეტის სტუდენტ შაობენ გამწვანებაზე.

რ. მაჩაბოშვილი

დიდი მეცნიერის პატივსაცემად

15 აპრილს ასაქართველოს ისტორიის სტუდენტთა საამქროში წარკვა თავისი ტრადიციული კონფერენცია მიეძღვნა აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 85 წლისთავს.

კონფერენციაზე ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ მოახლენთი გამოვიდა ისტორიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი შ. ბადრაძე.

ივანე ჯავახიშვილი და ქართული მუსიკის ისტორიის საკითხები, — ასეთი მოხსენებით გამოვიდა ისტორიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი რ. მეტრეველი.

ივ. ჯავახიშვილი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება — ამ თემაზე საინტერესო მოხსენებით გამოვიდა ფილოლოგიის ფაკულტეტის კურსის სტუდენტი გ. ხეშეგრიძე.

სამეცნიერო კონფერენციამ მიაღწია ბოლოს. სიმონ ყაუხჩიშვილმა, რომელმაც მოუთხრო ივანე ჯავახიშვილის ცხოვრების ზოგიერთი ეპიზოდი ... ალნიშნა მისი როლი ქართული მეცნიერული ისტორიის განვითარებაში.

სიმონ ყაუხჩიშვილმა კარგი ენა ფასება მისცა სტუდენტთა სამეცნ... ერო მოხსენებებს. ... უსურვა მათ შემდგომ მუშაობანი.

ბ. ბეგრაციონ...

ჩვენ ქმაყოფილი ვართ

სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი ზრუნვის საგანს წარმოადგენს.

პარტიის XX და XXI ყრილობებმა დადგენილებებში დიდი ყურადღება აქვს მიქცეული დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებლთა ქსელის გაფართოებას.

ეს ეკუთვნის პრაქტიკულ საქმიანობასთან მეცნიერების დაახლოება დიდადა დამოკიდებული უმაღლეს სასწავლებლთა პედაგოგიტენეს მუშაობაზე და სწავლების ორგანიზაციაზე. ეს საქმე ამ კარგადაა ორგანიზებული ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე.

მიმდინარე წლის იანვარში ამ ფაკულტეტის დაუსწრებელ სტუდენტებთან ორგანიზებულად იქნა ჩატარებული მიმოხილვითი ლექციათ-სემინარები. ჩვენ, ეკონომიური ფაკულტეტის ეკონომიური ბუღალტერიის სპეციალობის IV კურსის სტუდენტები დიდად კმაყოფილი დავრჩით ლექციებისადმი ლექტორთა ღრმა და მეცნიერული მიდგომით, მათი ლექციის დახვეწილობით და მეცნიერული ცოდნის ეროვნულ ეკონომიკასთან დაახლოებისა-დაკავშირებით. ამ მხრივ განსაკუთრებით მაღლობა გვეთქმის ბუღალტერო ალრიცხვის კათედრის. შუსაზე, რომელმაც ჩვენთან ლექციების ჩასატარებლად მოიწვია საბუღალტერო საქმის მეცოდნე, ერთ-ერთი კარგი სპეციალისტი საქართველოს ეკონომიკის საქართველოს ... ბუღალტერიის ... ქ. ჭერიძის მეტ ... ...